|                              |  |                           |
|------------------------------|--|---------------------------|
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ა) აღდგენილი და ახლად მოწყობილი სარეკრეაციო სივრცეები<br>ბ) დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცეები | მიღწეული შუალედური შედეგი |
|------------------------------|--|---------------------------|

|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა <b>02 06 02</b>                    |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“  |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი             | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების ტექნიკურ უზრუნველყოფას. |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | მოსახლეობისთვის შექმნილი სადღესასწაულო განწყობა                                       | მიღწეული შედეგი |  |

|   |   |                 |                                   |
|---|---|-----------------|-----------------------------------|
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება <b>02 07 01</b>  |                 |                                   |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი             | შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“   |                 |                                   |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი             | ქვეპროგრამის მიზანია ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზება.<br><br>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს " რუსთავის მინიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" დაფინანსება. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ ტრანსპორტს, საიდანაც ხორციელდება საწარმოს ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ხელფასებს და საწვავს. რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოში მუშაობს 40 ავტობუსი: №1 მარშრუტზე მუშაობს 6 ავტობუსი. №2 მარშრუტზე მუშაობს 5 ავტობუსი. №3 მარშრუტზე მუშაობს 4 ავტობუსი. №4 მარშრუტზე მუშაობს 5 ავტობუსი. №5 მარშრუტზე მუშაობს 3 ავტობუსი. №6 მარშრუტზე მუშაობს 3 ავტობუსი. №7 მარშრუტზე მუშაობს 6 ავტობუსი და №20 (რუსთავი-თბილისი) მარშრუტზე მუშაობს 6 ავტობუსი. სულ ყოველდღიურად მუშაობს 38 ავტობუსი და 2 ავტობუსი არის რეზერვ მდგომარეობაში. დასაქმებულია 248 თანამშრომელი; აქედან 100 მძღოლი, კორტროლიორი 49 თანამშრომელი. ავტოპარკს ემსახურება 54 თანამშრომელი და ადმინისტრაციამი არის 45 თანამშრომელი. |                 |                                   |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | ქალაქის მაცხოვრებელთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება და შიდა საქალაქო ტრანსპორტის მოდერნიზაცია.  | მიღწეული შედეგი | სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა |

|  |   |  |  |
|--|---|--|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა <b>02 08</b>   |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური   |  |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი ექსპერტიზაგავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. |  |  |



|                          |   |                 |  |
|--------------------------|---|-----------------|--|
|                          | 1) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა.<br>2) და სხვა...                           |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მომზადებული შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | მიღწეული შედეგი |  |

|  |  |                         |  |
|--|--|-------------------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა <b>02 09</b>   |                         |  |
| პროგრამის განმახორციელებელი            | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური  |                         |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | <p>ა) პროგრამის ფარგლებში მოხდება დაქირავებული კომპანიის მიერ, შესრულებული სამუშაოების (ფორმა N2) და საპროექტო სამუშაოების (პროექტების-ხარჯთაღრიცხვების, ნახაზების) ინსპექტირება. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. დაქირავებული კომპანია უზრუნველყოფს 50 000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებზე ზედამხედველობასა და ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას.</p> <p>1) სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯები.</p> <p>2) და სხვა ...</p> <p>ბ) შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივად ხორციელდება ექსპერტიზა. შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცესში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობაზე, რის შედეგადაც მიიღწევა ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. დაქირავებული კომპანია უზრუნველყოფს 50 000 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას.</p> <p>1) ექსპერტიზის ხარჯი.</p> <p>2) და სხვა...</p> |                         |  |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი             | ა) შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაწეული ტექნიკური ზედამხედველობა.  | მიღწეული საბოლოო შედეგი |  |
|  | ბ) ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილი შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი  |                         |  |

|  |   |                 |  |
|--|---|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა <b>02 10</b>   |                 |  |
| პროგრამის განმახორციელებელი            | ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“   |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | პროგრამის მიზანია დაგეგმილი პროგრამების ეფექტური ადმინისტრირება, მათი სრული და ეფექტური განხორციელებისთვის          |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | უზრუნველყოფილია რუსთავის კორპუსის ადმინისტრაციის გამართული მუშაობა და პროგრამების სრულად და ეფექტურად განხორციელება | მიღწეული შედეგი |  |





|   |  |                 |  |
|---|--|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი) | სასაფლაოების მოვლა - პატრონობა <b>02 11</b>  |                 |  |
| პროგრამის<br>გამახორციელებელი             | შპს „გემა“   |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, ცალკეული საფლაოების მოვლა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო<br>შედეგი               | მოწესრიგებული სასაფლაო   | მიღწეული შედეგი |  |

### კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება თვითმმართველობის ერთ-ერთი უმინიმუმუნელოვანესი პრიორიტეტია. კულტურის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შედეგად რუსთავი უნდა წარმოიჩინდეს კულტურული სამყაროს ღირსეულ წევრად. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლთა განვითარებას. დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ახალგაზრდობა თანამედროვე ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდისათვის თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

| პროგრამ.<br>კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა                               | 2023 წლის<br>პროექტი | 2024 წლის<br>პროგნოზი | 2025 წლის<br>პროგნოზი | 2026 წლის<br>პროგნოზი |
|------------------|---|----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>05 00</b>     | <b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>                            | <b>8 926,3</b>       | <b>9 200,6</b>        | <b>9 219,6</b>        | <b>10 605,1</b>       |
| <b>05 01</b>     | <b>სპორტის სფეროს განვითარება</b>                                 | <b>3 262,8</b>       | <b>3 363,3</b>        | <b>3 365,3</b>        | <b>4 733,8</b>        |
| 05 01 01         | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა                               | 2 066,9              | 2 066,9               | 2 066,9               | 2 066,9               |
| 05 01 02         | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება                                | 1 195,9              | 1 296,4               | 1 298,4               | 1 300,4               |
| 05 01 03         | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0,0                  | 0,0                   | 0,0                   | 1 366,5               |
| <b>05 02</b>     | <b>კულტურის სფეროს განვითარება</b>                                | <b>4 484,5</b>       | <b>4 629,6</b>        | <b>4 641,6</b>        | <b>4 653,6</b>        |
| <b>05 02 01</b>  | <b>კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა</b>                 | <b>3 806,6</b>       | <b>3 878,6</b>        | <b>3 888,6</b>        | <b>3 898,6</b>        |
| 05 02 01 01      | სახელოვნებო განათლების დაფინანსება                                | 1 549,2              | 1 621,2               | 1 623,2               | 1 625,2               |
| 05 02 01 02      | თეატრის ხელშეწყობა  | 1 246,9              | 1 246,9               | 1 249,9               | 1 252,9               |
| 05 02 01 03      | მუზეუმის ხელშეწყობა   | 388,4                | 388,4                 | 391,4                 | 394,4                 |



|              |  |              |              |              |              |
|--------------|--|--------------|--------------|--------------|--------------|
| 05 02 01 04  | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა   | 622,1        | 622,1        | 624,1        | 626,1        |
| 05 02 02     | კულტურული ღონისძიებების განხორციელება  | 667,9        | 741,0        | 743,0        | 745,0        |
| 05 02 04     | რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა   | 10,0         | 10,0         | 10,0         | 10,0         |
| <b>05 03</b> | <b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>  | <b>285,0</b> | <b>283,5</b> | <b>286,5</b> | <b>289,5</b> |
| 05 03 01     | ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები   | 285,0        | 283,5        | 286,5        | 289,5        |
| <b>05 04</b> | <b>სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა</b> | <b>894,0</b> | <b>924,2</b> | <b>926,2</b> | <b>928,2</b> |

|   |  |                 |  |  |
|---|--|-----------------|--|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა <b>05 01 01</b>  |                 |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „რაგბის კლუბი რუსთავის ხარები“<br>შპს „საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991“   |                 |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | <p>ა) ქვეპროგრამის მიზანია რაგბის განვითარების ხელშეწყობა. რაგბის კლუბ „რუსთავის ხარები“-ს მონაწილეობა უმაღლესი ლიგის გუნდის საქართველოს დიდი 10 -ს ჩემპიონატში. ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგის, საფესტივალო ასაკის გუნდებს შორის. მაღალკვალიფიციური სპორტსმენების და მწვრთნელთა მომზადება.</p> <p>ბ) ქვეპროგრამის მიზანია კალათბურთის პოპულარიზაცია და განვითარება რეგიონში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ჯანმრთელი თაობის აღზრდა, სპორტული ლიგების და სხვადასხვა ტურნირებში სრულყოფილი მონაწილეობის მიღება და საპრიზო ადგილის დაკავება. კალათბურთის ეროვნულ ჩემპიონატში (სუპერი ლიგა), საქართველოს თასის გათამაშებაში, ასევე ქორქია-საკანდელოის და დუდუ დადიანის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება. ასაკობრივი გუნდების მიერ ტურნირებში მონაწილეობის მიღება და წარმატებების მიღწევა. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართულია 49 თანამშრომელი.</p> |                 |  |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | <p>ა) საქართველოს დიდი 10-ის ჩემპიონატში მონაწილეობა, ფლეიოფში გასვლა და საპრიზო ადგილის დაკავება</p> <p>ბ) ჩატარებულ ტურნირებზე საპრიზო ადგილების დაკავება</p>  | მიღწეული შედეგი |  |  |

|   |   |  |  |  |
|---|---|--|--|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება <b>05 01 02</b>  |  |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“  |  |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | <p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტული აქტივობების თანაბარი ხელმისაწვდომობის შექმნა გოგონებისა და ბიჭებისთვის და მათი საჭიროებების გათვალისწინებით სპორტის სხვადასხვა სექციების მომსახურების მიწოდება. ქვეპროგრამის ფარგლებში რუსთავში 14 ლოკაციაზე ფუნქციონირებს როგორც ოლიმპიური ასევე არაოლიმპიური სახეობის 26 სპორტული სექცია, ესენია: ფრენბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, ფარიკაობა, მკლავჭიდი, ბატუტი, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ/რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, სამბო, მიუდო, ტაეკვანდო, კარატე, უშუ, კიკ - ბოქსი, ჯიუ-ჯიცუ, გრეპლინგი, კრივი, ხრიდოლი, ნიჩბოსნობა. ცენტრში სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა 69 მწვრთნელ - მასწავლებელი, მათ შორის 60 კაცია, ხოლო 9 - ქალი. სპორტულ სექციებზე ირიცხება 571 სპორტსმენ აქედან 96 გოგო, ხოლო 475 ბიჭი. ცენტრს ჰყავს 44 სტიპენდიანტი, აქედან 8 გოგონა. გოგონებს საპრიზო ადგილები აქვთ დაკავებული ცურვაში, აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში და ტაეკვანდოში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია რუსთავში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის ჩართვა სპორტულ აქტივობებში, სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობის ზრდა და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.</p> |  |  |  |
|   | უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია   |  |  |  |



|                            |  |                 |  |
|----------------------------|--|-----------------|--|
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული სექციებით სარგებლობისთვის, წახალისებულია მათი სპორტული მიღწევები | მიღწეული შედეგი |  |
|----------------------------|--|-----------------|--|

|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | სახელოვნებო განათლების დაფინანსება <b>05 02 01 01</b>   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“  |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | ქვეპროგრამის მიზანია სახელოვნებო განათლების მისაღებად თანაბარი ხელმისაწვდომობის შექმნა გოგონებისა და ბიჭებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით სახელოვნებო სკოლების მომსახურების მიწოდება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ოთხი სამუსიკო სკოლა, ერთი სამხატვრო სკოლა და ერთი კულტურის ცენტრი, სადაც გახსნილია 19 სექცია ესენია: საფორტეპიანო, საგუნდო, საორკესტრო, ხალხური საკრავები, თეატრალურ - სასცენო, ქორეოგრაფიული, სახვითი, ვოკალური, ვიოლინო, დასარტყამი, გიტარა, ხალხური, საგუნდო სადირიჟორო, საესტრადო ვოკალი, საორკესტრო, ფლეიტა, საყვირი, ვოკალი გუნდური, სამხატვრო. აღნიშნულ სექციებს ხელმძღვანელობს 159 პედაგოგი მათ შორის 127 ქალი და 32 კაცი. სექციებში ირიცხება 1 154 მოსწავლე საიდანაც 890 გოგო და 264 ბიჭია. გოგონებში პოპულარული სექციებია საფორტეპიანო, ქორეოგრაფიული, სამხატვრო, ვოკალი, საესტრადო ვოკალი, საგუნდო, ბიჭებში პოპულარულია ხალხური საკრავები, ხალხური სიმღერები, გიტარა, საორკესტრო, საყვირი და დასარტყამი ინტრუმენტები. |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | უზრუნველყოფილია სახელოვნებო სკოლების გამართული ფუნქციონირება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სახელოვნებო სკოლის მომსახურებით სარგებლობისთვის   | მიღწეული შედეგი |  |

|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | თეატრის ხელშეწყობა <b>05 02 01 02</b>   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი“   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | ქალაქ რუსთავის თეატრის მოწინავე პოზიციონირება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო, მაღალპროფესიული და ნოვატორული თეატრის, ქალაქში კულტურული ცხოვრების გაუმჯობესება. გრძელვადიანი სტაბილური სარეპერტუარო პოლიტიკის შენარჩუნება. ქვეპროგრამით განსაზღვრულია 4 დრამატული სპექტაკლის დადგმა, მუზეუმის შექმნა, შემოქმედებითი სამუშაო ლაბორატორიის შექმნა, მასტერკლასების და ვორკშოპების ჩატარება, დამატებითი მასწავლებლის მოზიდვა და ახალ სემინტზე მუშაობა. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართულია 97 თანამშრომელი, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და შემოქმედებით მხარეს. |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | რუსთავის თეატრის სტაბილური შემოქმედებითი ფუნქციონირება  | მიღწეული შედეგი |  |

|   |   |  |  |
|---|---|--|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | მუზეუმის ხელშეწყობა <b>05 02 01 03</b>  |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“   |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კვლევა, გამოფენებისა და ვიზიტორების მართვის პროგრამა. არაფორმალური განათლების გავრცელება სკოლებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საზოგადოების ფართო ფენებში, სამუზეუმო საქმისა და ქალაქის ისტორიის პოპულარიზაცია, სამეცნიერო კუბლიკაციების მომზადება და გამოცემა. რუსთავის ციხე-სიმაგრისა და ნაქალაქარის მოვლა და არქეოლოგიური კვლევა. არქეოლოგიის პროგრამა; რუსთავის ციხე-ქალაქისა და ციტადელის მოვლა, |  |  |



|                            |   |                 |  |
|----------------------------|---|-----------------|--|
|                            | დასუფთავება, არქეოლოგიური გათხრების წარმოება, კვლევითი სამუშაოების წარმართვა.           |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | დაცული/მოვლილი კულტურული მემკვიდრეობა და მათი პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო ფენებში. | მიღწეული შედეგი |  |

|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა <b>05 02 01 04</b>   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ "რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა"   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი             | <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულება განახორციელებს მოსახლეობის განათლებას, მათი საერთო კულტურის, წიგნიერების დონის ამაღლებას, ფონდების შევსება-დაკომპლექტება, კვალიფიკაციის ამაღლება, ელექტრონულად საინფორმაციო მუშაობის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონისძიებებში, საკლუბო შეხვედრებში, შემეცნებით გასართობ პროგრამებში, გამოფენებში და ლიტ. კონკურსებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამერიკული კუთხის და ინგლისური ენის პროპაგანდა, ლიტერატურული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრების ორგანიზება, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ჩატარება, ბიბლიოთეკის კვირულის და კონფერენციების მოწყობა, საშობაო-საახალწლო ღონისძიების ორგანიზება, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენება. ლიტერატურული არტ კლუბის და 60+ კლუბის ბენეფიციარებისთვის სერვისების პაკეტების მიწოდება. მედიათეკა _ მასში განთავსებული დარბაზები მოემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებლებს. მულტიმედიური განყოფილება, საპრეზენტაციო, საგამოფენო და კულტურული აქტივობების დარბაზები, მკითხველთათვის ელ.წიგნებზე წვდომა, საპრეზენტაციო და საგამოფენო სივრცე.</p> |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | ქალაქის მოსახლეობის შემეცნებითი და წიგნიერების დონის ამაღლება   | მიღწეული შედეგი |  |

|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | კულტურული ღონისძიებების განხორციელება <b>05 02 02</b>   |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“  |                 |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი             | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში იმართება როგორც გეგმიური ისე არაგეგმიური კულტურული ღონისძიებები, გეგმიური ღონისძიებები; დედების დღე, ქალთა დღე, 9 აპრილი, 9 მაისი, დამოუკიდებლობის დღე, ევროპის დღე, 8 აგვისტო, რუსთაველაღობა, ახალი წელი. ასევე ფუნქციონირებს კულტურის სასახლე და მასთან არსებული მოზარდ მაცურებელთა თეატრალური დასი. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურის სასახლის ფუნქციონირება, სხვადასხვა კულტურული აქტივობების, კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ვოკალური ანსამბლებისა და ინსტრუმენტალური ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების, დამწყები ხელოვანების ხელშეწყობა.</p> |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში კულტურის სასახლის ფუნქციონირება და ხელშეწყობილია სხვადასხვა კულტურული აქტივობების ჩატარება და ხელი ეწყობა შემოქმედებით ჯგუფებს.   | მიღწეული შედეგი |  |

|   |  |  |  |
|---|--|--|--|
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები <b>05 03 01</b>   |  |  |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“   |  |  |
|   | ქვეპროგრამის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაში და შეუფერხებლად ისარგებლონ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წრეების |  |  |



|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი | მომსახურებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული 13 სექცია ესენია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ქართული, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ხატვა, ჟურნალისტიკა, ჭადრაკი, ქართული ცეკვა, ქართული საკრავები, ქართული სიმღერა. აღნიშნულ წრეებზე ირიცხება 110 მოსწავლე (მათ შორის ბიჭი 40%, გოგო 60%), ამასთან ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრი აფინანსებს ან თანადაფინანსებს უწყვეს ახალგაზრდულ დონისძიებებს და პროექტებს, ამასთან ახალგაზრდობის სამსახური ატარებს კონკურსებს და აწყობს ბანაკებს |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                | შექმნილი თანაბარი პირობები ახალგაზრდული იდეების, პროექტებისა და დონისძიებების დასაფინანსებლად და უზრუნველყოფილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წრეების გამართული ფუნქციონირება.  | მიღწეული შედეგი |  |

|  |   |                 |  |
|--|---|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სპორტის, კულტურის და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა <b>05 04</b>   |                 |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“   |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | პროგრამის მიზანია თანამედროვე და კონკურენტულუნარიანი ადმინისტრაციული გუნდის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის მდგრად განვითარებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის, კულტურის, სახელოვნებო და ახალგაზრდობის პროგრამების მართვა და ადმინისტრირება. მნიშვნელოვანია ცენტრის მართვაში არსებული ფილიალებისა და ობიექტების ფინანსური, ლოჯისტიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფა. |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | უზრუნველყოფილია ცენტრის მდგრად განვითარება, ხელშეწყობილია თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ადმინისტრაციული გუნდის გამართული მუშაობა   | მიღწეული შედეგი |  |

## განათლება

თვითმმართველობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა. განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი დაწესებულებებისა და დელეგირებული უფლებამოსილების ხელშეკრულების ფარგლებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. თვითმმართველობა პრიორიტეტების ფარგლებში ახდენს მოსწავლეთა და სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური კადრების გენერირებისა და ქალაქისა თუ ქვეყნის განვითარებაში.

| პროგრამ. კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა                                     | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---------------|---|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 04 00         | განათლება   | 16 121,5          | 18 055,8           | 17 643,1           | 18 064,8           |
| 04 01         | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება                                | 14 209,9          | 14 220,8           | 14 220,8           | 14 220,8           |
| 04 02         | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა                     | 58,5              | 2 500,0            | 2 082,3            | 2 500,0            |
| 04 03         | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა                        | 740,0             | 740,0              | 743,0              | 746,0              |
| 04 04         | საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია | 518,1             | 0,0                | 0,0                | 0,0                |
| 04 05         | სტუდენტთა სწავლის დაფინანსება   | 520,0             | 520,0              | 520,0              | 520,0              |



|       |  |      |      |      |      |
|-------|--|------|------|------|------|
| 04 06 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა | 75,0 | 75,0 | 77,0 | 78,0 |
|-------|--|------|------|------|------|

|  |   |                 |  |  |  |
|--|---|-----------------|--|--|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება <b>04 01</b>   |                 |  |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქალაქი რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“  |                 |  |  |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | <p>ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 23 სააღმზრდელო დაწესებულება (ბაგა-ბაღი) გეგმიური 6925 აღსაზრდელით, ჩარიცხულია 6300 აღსაზრდელი, (ვაკანსია 625 ადგილი), ბაგა-ბაღებში აღსაზრდელოთა ჩარიცხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ელექტრონული წესით, ხოლო შემდგომ, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე დაშვებულია აღსაზრდელთა ჩარიცხვა განცხადების საფუძველზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მომსახურებას უწევს 1044 სამტატო ერთეულზე მომუშავე: 23 გამგე, 23 მენეჯერი, 23 ფსიქოლოგი, 4 ლოგოპედი, 23 სპეც პედაგოგი, 23 სასწავლო სააღმზრდელო პროცესების მმართველი, 15 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პერსონალური ასისტენტი, 34 მუსიკის ხელმძღვანელი, 222 აღმზრდელი, 23 სამეურნეო ნაწილის გამგე, 23 მედდა, 57 მზარეული, 376 აღმზრდელის პირველი და მეორე თანაშემწე (188 აღმზრდელის პირველი თანაშემწე და 0.5 განაკვეთიან 188 შტატზე მომუშავე 94 აღმზრდელის მეორე თანაშემწე), 34 დალაგება დასუფთავების სპეციალისტი, 23 დამხმარე პერსონალი (მუშა), 69 დარაჯ-მეუბოვე. გაერთიანება -შტატისანი (41) და შტატგარეშე მომუშავე (8) სულ - 49</p> <p>პროგრამის მიზანია ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა/განვითარების სტანდარტის დანერგვა ასოცირდება ხარისხიან სკოლამდელ განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს, ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას, ყველა ტიპის ბავშვთა ჩართულობას, უსაფრთხო სოციალურ და ემოციურ გარემოს, ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით. ამ ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს მიზანმიმართულად, ეტაპობრივად. დაიწყო და ეტაპობრივად გაგრძელდება ბ/ბაღის გამგეების ტრენინგი მეთოდ სამსახურის მიერ, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. იგეგმება ჯგუფებში ფიზიკური გარემოს მოწყობა ახალი სტანდარტების მიხედვით. მიმდინარეობს აღმზრდელ პედაგოგთა გადამზადება ( "ჭარტის" პროგრამა, "კვიტას გეორგიას" პროგრამა ) ამ ეტაპზე სხვადასხვა მიმართულებით დატრენინგებულია 94 პედაგოგი. ხდება გამოცდილება და ტრენინგებზე მიღებულ ცოდნათა განზოგადება, გარე მონიტორინგი მიმდინარეობს "ხარისხის სტანდარტის" შესაბამისად, რომელიც მიმართულია სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციისაკენ.</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> |                 |  |  |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა   | მიღწეული შედეგი |  |  |  |

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა <b>04 02</b>   |  |  |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური  |  |  |  |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | <p>პროგრამის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხოს, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლამდელ დაწესებულებებს. ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებები გახდება ბევრად უსაფრთხო, კომფორტული და მიმზიდველი მოსწავლეებისათვის და მომსახურე პერსონალისთვის.</p> <p>1) N20 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია.</p> |  |  |  |  |



|                          |  |                 |  |
|--------------------------|--|-----------------|--|
|                          | 2) N22 საბავშვო ბაღის შემოღობვის მოწყობის სამუშაოები.<br>3) და სხვა...               |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა. | მიღწეული შედეგი |  |

|  |   |                 |  |
|--|---|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა <b>04 03</b>   |                 |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო განმავითარებელი ცენტრი კესანე“   |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადრეულ ასაკში სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, მათი რეაბილიტაცია და შემდგომში საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; შრომითი თერაპიების საშუალებით ბენეფიციართა დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში. |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთა რეაბილიტაცია და ხელშეწყობილია მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში   | მიღწეული შედეგი |  |

|  |  |                 |  |
|--|--|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია <b>04 04</b>   |                 |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური  |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლების მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია. სკოლებში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, რაც ბევრად უსაფრთხოს, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლებს</p> <p>1) საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.<br/>2) N5, N7 და N24 საჯარო სკოლების გარე სპორტული მოედნების მოწყობის და N5 საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.<br/>3) N9,N10,N20,N22 და N23 სკოლების შემოღობვის მოწყობის სამუშაოები.<br/>4) N22 და N23 საჯარო სკოლების გარე სპორტული მოედნების და ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.<br/>5) N4 და N15 საჯარო სკოლებში დრენაჟის მოწყობა.<br/>6) N17 საჯარო სკოლაში შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.<br/>7) და სხვა...</p> |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | რეაბილიტირებული და მოწყობილი საშუალო სკოლების ტერიტორია  | მიღწეული შედეგი |  |

|  |   |  |  |
|--|---|--|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სტუდენტთა სწავლის დაფინანსება <b>04 05</b>  |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური   |  |  |
|  | <p>პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე იმ სტუდენტების (ბაკალავრი/ მაგისტრი/დოქტორანტი) მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), თუ სტუდენტი - ბაკალავრი ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს დოკუმენტს (სკოლის ატესტატს ან ცნობას შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან), რომლითაც დადასტურდება, რომ დამამთავრებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაძლოა მიეცეს პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა.</p> <p>1. ბაკალავრების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესაბამისად,</p> |  |  |



|                            |   |                 |  |
|----------------------------|---|-----------------|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>კერძოდ:</p> <p>ა) 81-დან 90 ქულამდე შეფასების მქონე სტუდენტები ფინანსდებიან არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) 90-დან 95 ქულამდე შეფასების მქონე სტუდენტები ფინანსდებიან არაუმეტეს 1000 ლარით;</p> <p>გ) 95-დან 100 ქულის ჩათვლით მქონე სტუდენტები ფინანსდებიან 1200 ლარით;</p> <p>2. მაგისტრანტების დაფინანსება ხორციელდება მაგისტრის აკადემიური მოსწრების შესაბამისად 85 ქულიდან 100 ქულამდე შეფასების მქონე მაგისტრანტი დაფინანსდეს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში);</p> <p>3. დოქტორანტების დაფინანსება ხორციელდება დოქტორანტების აკადემიური მოსწრების შესაბამისად 85 ქულიდან 100 ქულამდე შეფასების მქონე დოქტორანტი დაფინანსდეს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში)</p> <p>გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება - ქალაქი რუსთავი.</p> <p>სტუდენტს უფინანსდება სწავლის გადასახადი, წელიწადში არაუმეტეს სტუდენტებისთვის განსაზღვრული დასაფინანსებელი თანხის ოდენობისა.</p> |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი   | <p>უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესში სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების ხელშეწყობა და წახალისება სწავლის გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვით. ასევე ახალგაზრდების ხელშეწყობა განათლების სისტემაში სწავლის გასაგრძელებლად.</p>  | მიღწეული შედეგი |  |

|  |   |                 |  |
|--|---|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა <b>04 06</b>   |                 |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური   |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | <p>პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული მოსწავლეების 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წახალისებას, რომლის სამუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. პროგრამით მოსარგებლები არიან როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეები.</p> <p>გამონაკლის შემთხვევაში, თუ ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებული სკოლის დამამთავრებელი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლებს აღნიშნული პროგრამით, პროგრამით სარგებლობის უფლება მიეცეს მომდევნო ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.</p> <p>გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე იმ კურსდამთავრებულ მოსწავლეზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება - ქალაქი რუსთავი.</p> |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | <p>მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და შესაძლებლობების თანაბრად კონკურენტულ გარემოში წახალისებულია წარჩინებული მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.</p>   | მიღწეული შედეგი |  |

### დასუფთავება და გარემოს დაცვა

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალდ არის სამრეწველო მსხვილი ობიექტები, გარემოს დაცვის კანონით გამკაცრებული სანქციების ამოქმედება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად მნიშვნელოვანია ქალაქში არსებული რეკრეაციული ფართობების ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა. ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს.

| პროგრამ. კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---------------|-------------------------------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 03 00         | დასუფთავება და გარემოს დაცვა        | 9 968,0           | 10 407,8           | 10 410,8           | 10 413,8           |





|       |  |         |         |         |         |
|-------|--|---------|---------|---------|---------|
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა               | 5 418,9 | 5 738,9 | 5 738,9 | 5 738,9 |
| 03 02 | მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 3 037,0 | 3 153,8 | 3 153,8 | 3 153,8 |
| 03 03 | ცხოველთა მონიტორინგი                           | 641,9   | 641,9   | 644,9   | 647,9   |
| 03 04 | რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა  | 870,2   | 873,2   | 873,2   | 873,2   |

|   |  |                 |  |  |  |
|---|--|-----------------|--|--|--|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი) | დასუფთავება და ნარჩენების გატანა <b>03 01</b>  |                 |  |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი                | ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“   |                 |  |  |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხდება ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან, არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს ყოველდღიურად დაახლოებით 90 ტონა მოცულობის ნარჩენის გატანას, აღნიშნულ მომსახურებას ემსახურება სპეც.მანქანები, ასევე ყოველდღიურად ხდება 1 686 700 კვ/მ ტერიტორიის დასუფთავება და შეგროვებული ნარჩენების გატანა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში გზის სავალ ნაწილზე ტექნიკური მარლის მოყრა. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 433 თანამშრომელი, მათ შორის 318 ქალია და 115 კაცი. |                 |  |  |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი                  | ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისების ხარისხიანი ფუნქციონირება  | მიღწეული შედეგი |  |  |  |

|   |   |                 |  |  |  |
|---|---|-----------------|--|--|--|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი) | მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება <b>03 02</b>   |                 |  |  |  |
| პროგრამის გამახორციელებელი                | ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“  |                 |  |  |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                | ქალაქის განვითარებისა და ეკოლოგიისთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია მწვანე საფარის მოვლა-პატრონობას. შესაბამისად აუცილებელია ყოველდღიურად მწვანე საფარის მოვლა, მორწყვა, განახლება, რაც გულისხმობს ხეებისა და ყვავილების დარგვას, ბალახის დათესვას, ხეების შეთეთრებას და მოჭრა-გადაბეღვას. სარწყავი სისტემების, პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობას, ასევე არსებული მწვანე სივრცეების დაცვას, აგრეთვე ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა, კერძოდ ხდება მრავალწლიანი ნარჩენების დათესვა-დაკალმება. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 210 თანამშრომელი, მათ შორის 174 კაცია და 36 ქალი. |                 |  |  |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი                  | მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა   | მიღწეული შედეგი |  |  |  |

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება<br>(პროგრამული კოდი) | ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის ხელშეწყობა <b>03 03 01</b> |  |  |  |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი                | ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი“     |  |  |  |  |



|   |   |                 |  |
|---|---|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული უპატრონო ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა, კასტრაცია-სტერილიზაცია და ყველა ძაღლს უკეთდება ვაქცინაცია. თავშესაფარში ძაღლების დაყოვნება ხდება პროცედურების შესაბამისად, ამ პერიოდში უზრუნველყოფილია მათი კვება. ასევე ხდება ძაღლების მარკირება. პროცედურების შემდეგ უზრუნველყოფილია ძაღლების ბუნებრივ გარემოში დაბრუნება. სამსახურში დასაქმებულია 38 თანამშრომელი 7-ქალი და 31 კაცი. |                 |  |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა და დაგეგმილია ქალაქში შინაური პირუტყვის გადაადგილება  | მიღწეული შედეგი |  |

|  |   |                 |  |
|--|---|-----------------|--|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | რუსთავის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა 03 04   |                 |  |
| პროგრამის გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „რუსთავის ცენტრი“  |                 |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი             | სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირება და დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება, პროგრამას ემსახურება 33 ადამიანი, მათ შორის 11 ქალია და 22 კაცი. |                 |  |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი               | სამსახურის ეფექტური და შეუფერხებელი მუშაობა   | მიღწეული შედეგი |  |

### მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალეების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებასა და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობას.

| პროგრამ. კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა                     | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---------------|---|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 01 00         | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები              | 17 176,7          | 16 340,3           | 16 005,1           | 15 614,9           |
| 01 01         | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 10 758,7          | 10 254,7           | 10 256,6           | 10 254,7           |
| 01 01 01      | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო                | 2 237,6           | 2 237,6            | 2 237,6            | 2 237,6            |
| 01 01 02      | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია                    | 8 027,2           | 7 523,2            | 7 525,1            | 7 523,2            |
| 01 01 03      | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური               | 393,9             | 393,9              | 393,9              | 393,9              |
| 01 01 04      | საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა      | 100,0             | 100,0              | 100,0              | 100,0              |
| 01 02         | საერთო დანიშნულების ხარჯები                             | 6 418,0           | 6 085,6            | 5 748,5            | 5 360,2            |
| 01 02 01      | სარეზერვო ფონდი   | 800,0             | 800,0              | 800,0              | 800,0              |



|          |   |         |         |         |         |
|----------|---|---------|---------|---------|---------|
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 5,0     | 3,9     | 5,0     | 5,0     |
| 01 02 03 | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა              | 5 409,8 | 5 078,5 | 4 737,3 | 4 346,0 |
| 01 02 04 | მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა   | 123,2   | 123,2   | 126,2   | 129,2   |
| 01 02 05 | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა   | 80,0    | 80,0    | 80,0    | 80,0    |

|   |  |                 |  |
|---|--|-----------------|--|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა <b>01 02 04</b>  |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი             | ა(ა)იპ „ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივი“  |                 |  |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             | <p>მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული მასალების აღრიცხვა და შენახვა, მუნიციპალური არქივის ფონდის შევსება დოკუმენტებით, მისი აღწერა, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, მუნიციპალური საარქივო ფონდის დოკუმენტების სახეობებისა და ნაირსახეობის შემადგენლობის განსაზღვრა, არქივში დოკუმენტების შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვა, კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, დოკუმენტების მიღება, აღრიცხვა და საქმეთა ფორმირება ნომენკლატურის შესაბამისად, მასალების ფიზიკურ მდგომარეობაზე კონტროლი და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, შენობა - ნაგებობებისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვა.</p> <p>მუნიციპალური არქივის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია სულ 8 ერთეულით მათ შორის: შტატი 7 ერთეული, რომელთა ძირითადი საქმიანობაა საარქივო ფონდის მუდმივი განახლება - შევსება და მიღებული დოკუმენტაციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, აღწერა, აღრიცხვა, დაცვა-შენახვა და გამოყენება, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით (შტატარეშე) 1 ერთეული, რომლის ძირითად საქმიანობას შეადგენს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა.</p> |                 |  |
